

ვებგვერდი, 110818014, 22/08/2011
სარეგისტრაციო კოდი
300160070.22.024.016101

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრის
ბრძანება №1-1/1560
2011 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „სატვირთო ავტომობილებისა და
მისაბმელებისათვის ECMT- ს ტექნიკურ და უსაფრთხოების
მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის
სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების
თაობაზე

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 9 ივნისის №1-1/883 ბრძანებით დამტკიცებული „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის“ პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი, სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესი“.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2009 წლის 18 ნოემბრის №163 ბრძანება.

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ქობალია

ტექნიკური რეგლამენტი

სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური რეგლამენტი „სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების (ნახევარმისაბმელების) ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (შემდგომში – ECMT-ს) კვოტების სისტემაში გამოყენებისათვის „ევრო 3 უსაფრთხო“, „ევრო 4 უსაფრთხო“, „ევრო 5 უსაფრთხო“ სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის, მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ECMT-ს ტექნიკურ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის, ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატების გამცემ ორგანოებს, სერტიფიკატის გაცემის, გამოცვლის, გაუქმების, გამოყენების პირობებს.

2. 2006 წლიდან ამ წესის ამოქმედებამდე, კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატები ინარჩუნებენ ძალას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იცვლება მათში მითითებული ხმაურისა და გამონაბოლქვის საბაზისო მონაცემები.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ამ წესით განსაზღვრული ECMT სერტიფიკატების გაცემა, გამოცვლა, გაცემაზე უარის თქმა, გაუქმება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს და ცნებებს, ამ წესის მიზნებისათვის, აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ავტოსატრანსპორტო საშუალება** – საქართველოში რეგისტრირებული ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება ან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა (ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება/საწევარი, მისაბმელი/ნახევარმისაბმელი) შეწყვილებული კომბინაცია, რომელშიც ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული საქართველოში და რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ტვირთების გადასაზიდვად;

ბ) **ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების ცენტრი** (შემდგომში – **ტესტირების ცენტრი**) – საქართველოში რეგისტრირებული საწარმო, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ECMT-ს უსაფრთხოების, ტექნიკური უსაფრთხოების და გზისთვის ვარგისობის მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობის შესატყვისობის დასადგენად და აკრედიტებულია დადგენილი წესით;

გ) **განმცხადებელი** – პირი, რომელიც სერტიფიკატ(ებ)ის მისაღებად მიმართავს განცხადებით სააგენტოს;

დ) **ECMT** – ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენცია – სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, დაარსებული 1953 წელს, რომლის წევრიც არის საქართველო 2000 წლის 1 ივნისიდან. ECMT-ს მინისტრთა საბჭოს სესიაზე (დუბლინი, 2006 წლის 17-18 მაისი) მიღებული დეკლარაციის შესაბამისად ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენცია ტრანსფორმირებულ იქნა საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმად (შემდგომში – ITF);

ე) **ECMT კვოტა** – ECMT-ს წევრი ქვეყნისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი ნებართვების რაოდენობა, რომლის გამოთვლის პრინციპი განისაზღვრება ECMT-ს მინისტრთა საბჭოს მიერ;

ვ) **„ევრო 3 უსაფრთხო“, „ევრო 4 უსაფრთხო“ ან „ევრო 5 უსაფრთხო“ სატვირთო ავტომობილი (შემდგომში – სატვირთო ავტომობილი)** – ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ტექნიკური მდგომარეობა შეესატყვისება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) შესაბამისი წესებისა (UNECE-ს კონკრეტული წესის რეკვიზიტები მოცემულია ამ წესის №1-3 დანართებში მოყვანილ სერტიფიკატების ნიმუშებში) და/ან ევროსაბჭოს (EC) 96/96/EC დირექტივის – „წევრი ქვეყნების იმ კანონების დაახლოებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირებას“ (მასში 2003/27/EC დირექტივით შეტანილი შესწორებების ან შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დებულებებით მისთვის განსაზღვრულ ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების და გზისთვის ვარგისობის მოთხოვნებს;

ზ) **ECMT სერტიფიკატი** – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სატვირთო ავტომობილის ან/და მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ტექნიკური და უსაფრთხოების მდგომარეობის შესატყვისობას გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE-ს) შესაბამისი წესებისა და/ან ევროსაბჭოს (EC) 96/96/EC დირექტივის (მასში 2003/27/EC დირექტივით შეტანილი შესწორებების ან შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დებულებებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

თ) **ავტოსატრანსპორტო საშუალების ტესტირების ბარათი, ფირნიში** – ტერმინები განიმარტება „აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრების მიმართ წაყენებული მოთხოვნები – საკ.1.7:2007-ის დამტკიცების შესახებ“ სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2007 წლის 20 ივნისის N03 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 3. ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატების გამცემი ორგანოები

1. სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატს (ნიმუში ქართულ ენაზე მოცემულია №1 დანართში) და/ან მისაბმელის ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატს (ნიმუში ქართულ ენაზე მოცემულია №2 დანართში) ავსებენ და გასცემენ – ან:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი ან მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უფლებამოსილმა

წარმომადგენელმა სერტიფიკატში უნდა მიუთითოს მწარმოებლის დასახელება, რომელსაც ის წარმოადგენს;

ბ) სააგენტო – იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენლობა;

გ) სააგენტო და ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი ან საქართველოში მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ერთობლივად – იმ შემთხვევაში, როცა ყველა მოწყობილობა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მისი მწარმოებლის მიერ არ არის დამონტაჟებული.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სერტიფიკატები გაიცემა უვადოდ. სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი ექვემდებარება გამოცვლას (შემდგომში – გაცემა) იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებული ხმაურისა და გამონაბოლქვის საბაზისო მონაცემები შეიცვალა.

მუხლი 4. ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გამცემი ორგანო

1. სატვირთო ავტომობილების ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან და მისაბმელების ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატებში განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესატყვისობა უნდა შემოწმდეს წელიწადში ერთხელ გზისთვის ვარგისობის ტესტირების საშუალებით (ECMT-ს კვოტების სისტემაში გამოყენების შემთხვევაში) და დადასტურებული იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატით (ნიმუში ქართულ ენაზე მოცემულია №3 დანართში).

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატს ავსებს და გასცემს სააგენტო გზისთვის ვარგისობის ტესტირების საფუძველზე.

მუხლი 5. ტესტირება და მისი შედეგების აფორმება

1. ტესტირების ცენტრი, განმცხადებლის მიმართვის საფუძველზე, ახორციელებს სამუშაოებს სატვირთო ავტომობილის ECMT-ს უსაფრთხოების მოთხოვნებთან, მისაბმელის (ნახევარმისაბმელების) ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან და სატვირთო ავტომობილისა და მისაბმელის გზისთვის ვარგისობის მოთხოვნებთან შესატყვისობის დასადგენად.

2. ტესტირების ცენტრი ჩატარებული სამუშაოების შედეგებს აფორმებს შესაბამისი ოქმ(ებ)ით (დანართები №№5-7) და გასცემს მათ განმცხადებელზე. ოქმ(ებ)ის ასლები ინახება ტესტირების ცენტრში.

3. ტესტირების ცენტრი ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობის ტესტირების ოქმთან (ოქმებთან) ერთად განმცხადებელზე აგრეთვე გასცემს ასს-ს ტესტირების ბარათს და ფირნიშს.

4. სერტიფიკატ(ებ)ის მისაღებად ტესტირების ოქმ(ებ)ი განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს სააგენტოს.

5. გზისთვის ვარგისობის შემდეგი ტესტი უნდა ჩატარდეს ტესტირების ჩატარების თარიღიდან მეორემეტე თვის ბოლომდე.

მუხლი 6. სასერტიფიკაციო პროცედურები, სერტიფიკატების გაცემის პირობები და ვადები

1. სასერტიფიკაციო პროცედურები ხორციელდება სამ ეტაპად:

ა) I ეტაპი – წინასასერტიფიკაციო პროცედურა, რომელიც მოიცავს:

ა.ა) განცხადებისა და თანდართული საბუთების სააგენტოში წარდგენას;

ა.ბ) სააგენტოს მიერ განცხადებისა და თანდართული საბუთების წინასწარ განხილვას და შესაბამისობის დადგენას;

ა.გ) ამ პუნქტის "ა.ბ" ქვეპუნქტით წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შეფასებას;

ბ) II ეტაპი – სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;

გ) III ეტაპი – სერტიფიკატის გაცემა.

2. განმცხადებელმა სერტიფიკატ(ებ)ის მისაღებად სააგენტოს უნდა წარუდგინოს განცხადება ავტოსატრანსპორტო საშუალების სერტიფიკატის გაცემის შესახებ (დანართი №4), რომელსაც თან უნდა ახლდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და:

ა) სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატის მისაღებად:

ა.ა) ტესტირების ცენტრის მიერ გაცემული სატვირთო ავტომობილის ECMT-ს უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ოქმი (დანართი №5);

ა.ბ) სატვირთო ავტომობილის ხმაურისა და გამონაბოლქვის სტანდარტებთან შესატყვისობის სერტიფიკატი, ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ გაცემული საბუთი სატვირთო ავტომობილის ხმაურისა და გამონაბოლქვის სტანდარტებთან შესატყვისობის თაობაზე;

ბ) მისაბმელის ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატის მისაღებად – ტესტირების ცენტრის მიერ გაცემული მისაბმელის ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ოქმი (დანართი №6);

გ) სატვირთო ავტომობილის გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატის მისაღებად:

გ.ა) ტესტირების ცენტრის მიერ გაცემული სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის გზისთვის ვარგისობის ტესტირების ოქმი (დანართი №7);

გ.ბ) სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატ(ებ)ის ასლ(ებ)ი;

დ) მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატის მისაღებად:

დ.ა) ტესტირების ცენტრის მიერ გაცემული სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის გზისთვის ვარგისობის ტესტირების ოქმი (დანართი №7);

დ.ბ) მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატის ასლი.

3. სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების და თანდართული საბუთების შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

4. განცხადებისა და თანდართული საბუთების ამ წესის და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს მიუთითებს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და განსაზღვრავს ვადას (რომელიც არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები), რომლის განმავლობაშიც განცხადებელმა უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები და წარმოადგინოს ნაკლოვანებების გამოსწორების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი ან წერილობითი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

5. განცხადების და თანდართული საბუთების ამ წესის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას, სააგენტო ახორციელებს მასში ასახული ინფორმაციის შეფასებას და მის საფუძველზე, დადგენილი წესით, ღებულობს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

6. ECMT სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განცხადების შესაბამისად, ივსება დადგენილი ფორმის ECMT სერტიფიკატ(ებ)ი (დანართი №1-№3) ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ქართულ ენებზე. სერტიფიკატ(ებ)ი რეგისტრირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყებრივ სასერტიფიკაციო რეესტრში (დანართი №8), ხოლო მათი ასლები ინახება სააგენტოში. ECMT სერტიფიკატს აქვს სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც შედგება არაბული ციფრებისაგან და იგი ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყებრივ სასერტიფიკაციო რეესტრში რეგისტრირებული სერტიფიკატის რიგითი ნომრის იდენტურია.

7. სააგენტო არ გასცემს ECMT სერტიფიკატს, თუ:

ა) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს და სააგენტოს მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადაში;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მონაცემები ან მისი ტესტირების შედეგები არ შეესაბამება UNECE შესაბამისი წესებითა და/ან 96/96/EC დირექტივით (მასში 2003/27/EC დირექტივით შეტანილი შესწორებების ან შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) მისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყებრივ სასერტიფიკაციო რეესტრში შეიტანება მონაცემები ECMT სერტიფიკატის გაცემის, მისი გაუქმების და დუბლიკატის გაცემის შესახებ. მონაცემები ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყებრივ სასერტიფიკაციო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

9. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გაეცნოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყებრივ სასერტიფიკაციო რეესტრში არსებულ მონაცემებს.

10. სააგენტოს გადაწყვეტილება ECMT სერტიფიკატის გაცემაზე უარის ან გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სააგენტოს მიერ გაცემული ECMT სერტიფიკატის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მისი დუბლიკატი, დაკარგული ან დაზიანებული სერტიფიკატის მოქმედების დარჩენილი ვადით, გაიცემა სააგენტოს მიერ, სერტიფიკატის მფლობელის

განცხადების სააგენტოში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. დუბლიკატს, ზედა მარჯვენა კუთხეში უკეთდება წარწერა „დუბლიკატი“.

მუხლი 7. ECMT სერტიფიკატების გამოყენება

1. ECMT სერტიფიკატები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, რომელზედაც ის გაიცა.

2. ECMT სერტიფიკატები უნდა ინახებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და მოთხოვნისთანავე წარედგინოს შესაბამისი კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელს.

3. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება ვადაგასული, ბათილი, ყალბი ECMT სერტიფიკატ(ებ)ი, ან სერტიფიკატ(ებ)ი, რომელიც გაცემული იყო სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, უფლებამისილი ორგანოს წარმომადგენელი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოართვას ECMT სერტიფიკატ(ებ)ი.

4. ECMT სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში მისმა მფლობელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს.

მუხლი 8. ECMT სერტიფიკატის ბლანკები

ECMT სერტიფიკატის ბლანკები იბეჭდება:

ა) სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი – ღია მწვანე A4 ფორმატის ქაღალდზე, ბეჭდით ფურცლის ორივე გვერდზე (დანართი №1);

ბ) მისაბმელის ECMT-ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი – ღია ყვითელ A4 ფორმატის ქაღალდზე (დანართი №2);

გ) სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის გზისთვის ვარგისობის ECMT-ს ტესტის სერტიფიკატი – სტანდარტულ თეთრ A4 ფორმატის ქაღალდზე (დანართი №3).

მუხლი 9. ECMT სერტიფიკატის გაუქმება

ECMT სერტიფიკატის გაუქმების საფუძველია:

ა) სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლა;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ან უსაფრთხოების, აგრეთვე გზისთვის ვარგისობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

დანართი №1

პირველი გვერდი

სერტიფიკატი N: -----

<p>სატვირთო ავტომობილის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი</p> <p><input type="checkbox"/> "EURO III უსაფრთხო"</p> <p><input type="checkbox"/> "EURO IV უსაფრთხო"</p> <p><input type="checkbox"/> "EURO V უსაფრთხო"</p>

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა:
საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):
ძრავას ტიპი / ნომერი:

ორგანო (ები) ¹,

-	რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტური ორგანო ² ;
-	ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი ან მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოში, ან
-	რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტური ორგანო და ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი, ან საქართველოში მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ერთობლივად იმ შემთხვევაში, როცა ყველა მოწყობილობა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მისი მწარმოებლის მიერ არ არის დამონტაჟებული ³ .

[კომპანიის და/ან სააგენტოს დასახელება და ბეჭედი]

ამით ადასტურებს(ენ), რომ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესატყვისება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) შესაბამისი წესებისა და/ან ევროსაბჭოს (EC) დირექტივების დებულებებს, როგორც აღნიშნულია ქვემოთ და ადასტურებს(ენ), რომ ამ სერტიფიკატში დატანილი მონაცემები სწორია.

ძრავას სიმძლავრე

<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	გაზომილია: UNECE-ს R85.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 80/1269/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 1999/99/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
--------------------------	--------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

მოთხოვნები ხმაურისა და გამონაბოლქვების მიმართ

<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	ხმაურის სიდიდე გაზომილია: UNECE-ს R51.02 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/157/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 1999/101/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	EURO III: გამონაბოლქვი გაზომილია: UNECE-ს R49.03 წესის (სტრიქონი A) შესაბამისად; ან 88/77/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივით (სტრიქონი A) ან 2005/55/EC დირექტივით (სტრიქონი A). ⁴

□ □	EURO IV: გამონაბოლქვი გაზომილია ETC და ELR ტესტირების ციკლების მიხედვით: UNECE-ს R49.03 წესის (სტრიქონი B1) ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 88/77/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივით (სტრიქონი B1), ან 2005/55/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით (სტრიქონი B1) ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით. ⁵
□ □	EURO IV: გამონაბოლქვი გაზომილია ETC ტესტირების ციკლების მიხედვით: UNECE-ს R49.03 წესის (სტრიქონი B1) ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 88/77/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივით (სტრიქონი B1), ან 2005/55/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით (სტრიქონი B1) ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით. ⁵
□ □	EURO V: გამონაბოლქვი გაზომილია ETC და ELR ტესტირების ციკლების მიხედვით: UNECE-ს R49.04 წესის (სტრიქონი B2) ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 88/77/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივით (სტრიქონი B2), ან 2005/55/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით (სტრიქონი B2) ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით. ⁶
□ □	EURO V: გამონაბოლქვი გაზომილია ETC ტესტირების ციკლების მიხედვით: UNECE-ს R49.04 წესის (სტრიქონი B2) ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 88/77/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივით (სტრიქონი B2), ან 2005/55/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით (სტრიქონი B2) ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით. ⁶

1.	წაშალეთ ზედმეტი დასახელება
2.	იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენლობა.
3.	ამ შემთხვევაში პირველი ხელის მომწერი ავსებს მარცხენა სვეტს, ხოლო მეორე _ მარჯვენას.
4.	A-ს მნიშვნელობა დაშვების ჩამონათვალში.
5.	B1-ს ან B-ს ან C-ს მნიშვნელობა დაშვების ჩამონათვალში.
6.	B2-ს ან D-ს, E-ს, F-ს ან G-ს მნიშვნელობა დაშვების ჩამონათვალში.

მე-2 გვერდი

უსაფრთხოების მოთხოვნები

ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია შემდეგი მოწყობილობებით:

□ □	უკანა დამცავი მოწყობილობებით ⁷ UNECE-ს R58.01 წესისა ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/221/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2000/8/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	გვერდითი დამცავი მოწყობილობებით ⁷ UNECE-ს R73.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 89/297/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.

□ □	უკანა ხედვის სარკით UNECE-ს R46.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/127/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 88/321/EEC ან 2003/97/EC დირექტივებით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	EURO III და EURO IV: განათებისა და მაშუქი სასიგნალო მოწყობილობებით UNECE-ს R48.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	EURO V: განათებისა და მაშუქი სასიგნალო მოწყობილობებით UNECE-ს R48.02 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	ტაქოგრაფით, UNECE-ს AETR შეთანხმების (შესწორებით), ან საბჭოს (EEC) N 3821/85 წესის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია (EC) N 2135/98 წესით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით, აგრეთვე კომისიის (EC) N 1360/2002 და N 432/2004 წესების ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
□ □	სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობით, UNECE-ს ლ.89.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 92/24/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2004/11/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	უკანა შუქამრეკლავი ამოსაცნობი ნიშნებით მძიმეწონიანი და გრძელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის UNECE-ს R.70.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
□ □	მუხრუჭებით, მათ შორის ანტიბლოკირების სისტემით, UNECE-ს R13.09 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/320/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 98/12/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
□ □	საჭის მართვის მოწყობილობით UNECE-ს N79.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/311/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 1999/7/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.

თბილისი

ადგილი

თარიღი

ხელმოწერა და ბეჭედი

7.	ნახევარმისაბმელების საწევარს არ ეხება
----	---------------------------------------

დანართი №2

სერტიფიკატი N: -----

მისაბმელის ¹ ECMT -ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა:
საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):

ორგანო (ები)²

- რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტური სამსახური³;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი ან მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი საქართველოში, ან
- რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტური ორგანო და ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებელი, ან საქართველოში მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი ერთობლივად⁴ იმ შემთხვევაში, როცა ყველა მოწყობილობა ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის მიერ არ არის დამონტაჟებული.

[კომპანიის და/ან სააგენტოს დასახელება, მისამართი]

ამით ადასტურებს(ენ), რომ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესატყვისება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის შესაბამისი წესებისა და/ან ევროსაბჭოს (EC) დირექტივების დებულებებს, და ადასტურებს(ენ), რომ ამ ფურცელზე დატანილი მონაცემები სწორია.

მისაბმელი აღჭურვილია შემდეგი მოწყობილობებით:

- □ უკანა დამცავი მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R58.01 წესისა ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/221/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2000/8/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- □ გვერდითი დამცავი მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R73.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 89/297/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- □ განათებისა და მათემატიკური სასიგნალო მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R48.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- □ უკანა შუქამრეკლავი ამოსაცნობი ნიშნებით მძიმეწონიანი და გრძელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R.70.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- □ მუხრუჭებით, მათ შორის, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R13.09 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/320/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 98/12/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.

1. ნახევარმისაბმელების ჩათვლით.
2. წაშალეთ, რომელიც არ არსებობს.
3. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალების მწარმოებლის უფლებამოსილი წარმომადგენლობა.
4. ამ შემთხვევაში პირველი ხელის მომწერი ავსებს მარცხენა სვეტს, ხოლო მეორე – მარჯვენას.

დანართი №3

სერტიფიკატი N: -----

სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის¹ გზისთვის ვარგისობის ECMT –ს ტესტის სერტიფიკატი

სარეგისტრაციო ნომერი:
შესატყვისობის სერტიფიკატის ნომერი:
ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა ² :
საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):
ძრავას ტიპი / ნომერი ³ :

[კომპანიის და/ან სააგენტოს დასახელება, მისამართი]

დაწესებულება ან ორგანო, რომელიც შექმნილია მარეგისტრირებელ ქვეყანაში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის 1997 წლის შეთანხმების, ან გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R.E.1(TRANS/SC.1/294/Rev.5) შეჯამებული რეზოლუციის, მასში 2001 (TRANS/WP.1/2001/25) რეზოლუციით შეტანილი შესწორებების ან შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ან 96/96/EC დირექტივის, მასში 2003/27/EC დირექტივით შეტანილი შესწორებების ან შემდგომში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით შესრულების მიზნით, წინამდებარით ადასტურებს, რომ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესაბამება ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს, შემდეგი მოწყობილობებისა და სისტემების სავალდებულო შემოწმების ჩათვლით:

- სამუხრუჭო სისტემა (მათ შორის, ანტიბლოკირების სისტემა, რომელიც მისაბმელთან შეთავსებადია ან პირიქით)
- საჭე და საჭის მოწყობილობა ³
- ხილვადობა
- მამუქები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა

სარეგისტრაციო ნომერი, გამოშვების წელი

და ითხოვს გაიცეს მასზე -----
სერტიფიკატი (სერტიფიკატი).

განცხადებას თან ერთვის:

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----

განმცხადებელი: / /

ბ.ა. "....."
თარიღი

დანართი №5

სატვირთო ავტომობილის ECMT-ს უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ოქმი №

- "EURO III უსაფრთხო" "EURO IV უსაფრთხო" "EURO V უსაფრთხო"

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა:
ავტოსატრ. საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):

ტესტირების ცენტრის დასახელება და აკრედიტაციის მოწმობის N

როგორც ევროსაბჭოს 96/96EC დირექტივის მოთხოვნების მიხედვით ტესტის ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი საწარმო ამ დოკუმენტით აცხადებს, რომ ქვემოთ მოყვანილი თარიღისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესატყვისება

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) შესაბამისი წესებისა და/ან ევროსაბჭოს (EC) დირექტივების მოთხოვნებს და ადასტურებს, რომ ამ ოქმში მოყვანილი მონაცემები სწორია.

ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილია შემდეგი მოწყობილობებით:

- უკანა დამცავი მოწყობილობებით¹ UNECE-ს R58.01 წესისა ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/221/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2000/8/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- გვერდითი დამცავი მოწყობილობებით¹ UNECE-ს R73.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 89/297/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- უკანა ხედვის სარკით UNECE-ს R46.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/127/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 88/321/EEC ან 2003/97/EC დირექტივებით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- EURO III და EURO IV: განათებისა და მაშუქი სასიგნალო მოწყობილობებით UNECE-ს R48.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- EURO V: განათებისა და მაშუქი სასიგნალო მოწყობილობებით UNECE-ს R48.02 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- ტაქოგრაფით, UNECE-ს Aეთლ შეთანხმების (შესწორებებით), ან საბჭოს (EEC) N 3821/85 წესის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია (EC) N 2135/98 წესით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით, აგრეთვე კომისიის (EC) N 1360/2002 და N 432/2004 წესების ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობით, UNECE-ს R.89.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 92/24/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2004/11/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- უკანა შუქამრეკლავი ამოსაცნობი ნიშნებით მძიმეწონიანი და გრძელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის UNECE-ს R.70.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- მუხრუჭებით, მათ შორის, ანტიბლოკირების სისტემით, UNECE-ს R13.09 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/320/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 98/12/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- საჭის მართვის მოწყობილობით UNECE-ს N79.01 წესის ან სხვა შესაბამისი

ცვლილებების შესაბამისად; ან 70/311/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 1999/7/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.

გამომცდელი:

ცენტრის ხელმძღვანელი:

შემოწმების თარიღი

1. ნახევარმისაბმელების საწვევარს არ ეხება

დანართი №6

მისაბმელის¹ ECMT - ს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის ოქმი №

ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა:
საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):

.....
ტესტირების ცენტრის დასახელება და აკრედიტაციის მოწმობის N

როგორც დირექტივის 96/96EC მოთხოვნების მიხედვით ტესტის ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი საწარმო ამ დოკუმენტით აცხადებს, რომ ქვემოთ მოყვანილი თარიღისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესატყვისება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წესების და/ან ევროსაბჭოს დირექტივების დებულებებს და ადასტურებს, რომ ამ ოქმში მოყვანილი მონაცემები სწორია.

მისაბმელი აღჭურვილია შემდეგი მოწყობილობებით:

- უკანა დამცავი მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ღ58.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 70/221/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 2000/8/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- გვერდითი დამცავი მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური

კომისიის R73.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 89/297/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.

- განათებისა და მაშუქი სასიგნალო მოწყობილობებით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R48.02 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 76/756/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 97/28/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.
- უკანა შუქამრეკლავი ამოსაცნობი ნიშნებით მძიმეწონიანი და გრძელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R70.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.
- მუხრუჭებით, მათ შორის, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R13.09 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად; ან 71/320/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 98/12/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით.

ხელმოწერები:

გამომცდელი:

ცენტრის ხელმძღვანელი:

შემოწმების თარიღი

ბ.ა

1. ნახევარმისაბმელის ჩათვლით

დანართი №7

სატვირთო ავტომობილის და მისაბმელის¹ გზისთვის ვარგისობის ტესტირების
ოქმი №

სარეგისტრაციო ნომერი:
შესატყვისობის სერტიფიკატის ნომერი:
ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპი და მარკა ² :
საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN):
ძრავას ტიპი/ნომერი:

ტესტირების ცენტრის დასახელება, მისამართი და აკრედიტაციის მოწმობის N

როგორც რეგისტრაციის ქვეყანაში 96/96/EC დირექტივის, მასში 2003/27/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, შესრულების მიზნით შექმნილი და ტესტის ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი საწარმო ამ ოქმით ადასტურებს, რომ ზემოთ მოყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეესაბამება ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს, შემდეგი მოწყობილობებისა და სისტემების სავალდებულო შემოწმების ჩათვლით:

- სამუხრუჭო სისტემა (მათ შორის, ანტიბლოკირების სისტემა, რომელიც მისაბმელთან შეთავსებადია ან პირიქით)
- საჭე და საჭის მოწყობილობა ³
- ხილვადობა
- მაშუქები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა
- ღერძები, თვლები, საბურავები და დაკიდება (საბურავების პროტექტორის მინიმალური სიღრმის ჩათვლით)
- შასი და შასის ნაწილები (უკანა და გვერდითი დამცავი მოწყობილობების ჩათვლით)
- სხვა მოწყობილობები, მათ შორის:
 - გამაფრთხილებელი სამკუთხედი ³
 - ტაქოგრაფი (არსებობა და ლუქების დაურღვევლობა) ³
 - სიჩქარის შემზღვეველი მოწყობილობა ³
- შთანთქმის კოეფიციენტის მნიშვნელობა ^{3,4}

[მ-1]

გამომცდელი:

ცენტრის ხელმძღვანელი:

შემოწმების თარიღი
ბ.ა.

-
1. ნახევარმისაბმელების ჩათვლით
 2. მისაბმელის (ნახევარმისაბმელის) ჩათვლით
 3. მისაბმელზე (ნახევარმისაბმელზე) არ ვრცელდება
 4. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის R24.03 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 72/306/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად

დანართი №8

